



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### მახინჯაური

მახინჯაური, სოფელი აჭარის არ-ის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში. თემის ცენტრი (მ., განთიადი, შუა მახინჯაური); მდებარეობს შავი ზღვის პირას, სამტრედია-ბათუმის საავტომობილო და სარკინიგზო ხაზზე. ზ. დ. 15 მ, ხელვაჩაურიდან 15 კმ. 735 მცხ. (2014).

მ. ზღვისპირა კლიმატურ-ბალნეოლ. კურორტია, თბილი ზამთრითა და ცხელი ზაფხულით. იანვრის საშ. ტემპ-რაა  $5,7^{\circ} \text{C}$ , ივლისისა -  $22,2^{\circ} \text{C}$ , საშ. წლიური ტემპ-რა -  $13,8^{\circ} \text{C}$ , ნალექების რაოდენობა წელიწადში - 2750 მმ, მზის ნათების ხანგრძლივობა - 1890 სთ წელიწადში. ძირითადი სამკურნ. ფაქტორია თალასოთერაპია, არსებული მინერ. წყლები გამოიყენება ასევე სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ.

მ-ს 1959 მიენიჭა დაბის სტატუსი და გახდა სადაბო საბჭოს ცენტრი. 2011 დაბის დიდი ნაწილი გამოეყო ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტს და მოექცა ბათუმის დაქვემდებარებაში, მწვანე კონცხის უბანში. 2014 აღწერის მიხედვით ხელვაჩაურის მუნიციპ-ში არსებულ დაბა მ-ს გაუუქმდა დაბის სტატუსი.

---